საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 8/00 „ 23 " მარტი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების

სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

„ 23 " 03 " 2011 წელი

ეგზ. N2

ობიექტი:

საქართველოს საელჩოში ისრაელის სახელმწიფოში ფინანსური და შესაბამისობის

აუდიტი

პერიოდი: 01/01/2010-01/01/2011

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96

ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136; www.control.ge

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება	გვ. 4
2. გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება	გვ.11
დასკვნა	გვ. 17
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 17
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 17
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 16 ნოემბრის №96/43 და 18 ნოემბრის N173/42 ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში. იურიდიული მისამართი: 3 Daniel Frisch Street, Tel Aviv, 64731, Israel

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯერენაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და მთავარი აუდიტორი ავთანდილ ვასაძე.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 25/11/2010 – 24/01/2011 (დაწყება-დამთავრება).

საელჩოში პასუხისმგებელი პირები:

ვახტანგ ჯაოშვილი - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში

მარინა მეტრეველი - ფინანსური მენეჯერი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ:

ვახტანგ ჯაოშვილი - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში

მარინა მეტრეველი - ფინანსური მენეჯერი

შემოკლებანი:

საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში - საელჩო.

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი -ელჩი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო -სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი -მინისტრი.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

მნიშვნელოვანი დარღვევა ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

III. ძირითადი ტექსტი

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება;

„საქართველოს საელჩოს ისრაელის სახელმწიფოში 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვით" საელჩოს 2010 წლის დაზუსტებულმა ასიგნებამ[1] შეადგინა 600.4 ათასი დოლარი (840.4 ათასი ლარი).

2010 წლის განმავლობაში საელჩოს დაფინანსებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგინა 565.4 ათასი დოლარი. მათ შორის:

- უნაღდო ფორმით სამინისტროს მეშვეობით ხაზინიდან მიღებულია 523.6 ათასი დოლარი;
- როტაციის თანხა -2.4 ათასი დოლარი;
- საელჩოს მიერ ადგილზე მიღებული საკონსულო მოსაკრებლები -16.2 ათასი დოლარი და სხვა შემოსავალი-6.7 ათასი დოლარი, საელჩოში დაფინანსების სახით არის დატოვებული;
- სამოქალაქო რეესტრიდან მიღებულია 1.8 ათასი დოლარი;
- სამინისტროს მეშვეობით საელჩოს დაფინანსებიდან საელჩოს საჭიროებისათვის საქართველოში გაწეულია 10.7 ათასი დოლარის ხარჯი;
- საელჩოს მიერ შტატგარეშე თანამშრომლებისთვის დაქვითული საშემოსავლო გადასახადი - 4.0 ათასი დოლარი საელჩოსთვის არის დატოვებული, ამასთან სამინისტროს მეშვეობით ეს თანხა საელჩოს დაფინანსებიდან არის მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში.

[1] დამტკიცებულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს

საბალანსო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ იხილეთ ცხრილი (დოლარი):

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
	I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	692	
040	სავალუტო ანგარიში ბანკში	1212	1951	3
060	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1214		265
090	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის	1222	1515	1502
140	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410		4
170	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1423	4024	
190	გადახდილი დღგ	1431	2959	2503
220	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1441	5320	
230	მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	1442		429
270	სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1446	13818	13818
	II. არაფინანსური აქტივები			
290	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	98506	86555
340	სხვა მატერიალური მარაგები	2220	11743	5741
	ბალანსი		**140528**	**110820**
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი		
	I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
370	ფინანსური ვალდებულებები	3100	3190	
380	ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3210	4260	620
400	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3222	180	50
420	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3224	1440	1670
460	ვალდებულებები მივლინებით	3234		143
560	სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	3246		5061
	II. კაპიტალი			
580	წმინდა ღირებულება	5100	131458	103276
	ბალანსი		**140528**	**110820**
	III. საცნობარო მუხლები			
640	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექპლუატაციაში	04	4108	5320
680	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	38886	52486

საბალანსო ანგარიშებზე ასახული ფინანსური ოპერაციებისა და რიცხული ნაშთების აუდიტით გამოვლინდა:

- 1120 –„ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში“ –

  ნაშთი 692 დოლარიდან (შედგებოდა დოლარებისა და შეკელების სალაროს ნაშთისგან) დაყვანილია ნულამდე, რაც გამოწვეულია იმით, რომ აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად - (მინიმუმამდე დასულიყო ნაღდი ანგარიშსწორებით ოპერაციები), საელჩომ, ნოემბრის ბოლოს შეაჩერა სალაროს ოპერაციები, როგორც დოლარში ასევე შეკელებში, დახურა სალაროს წიგნები და სალაროში არსებული ნაშთები გადაიტანა შესაბამის საბანკო ანგარიშებზე;
- 1212 – „სავალუტო ანგარიში ბანკში“ –

  1951 დოლარიდან შემცირებულია 3 დოლარამდე (დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯების გაწევის აუცილებლობიდან გამომდინარე);
- 1214 - „დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში“ –

  ნაშთი არ ჰქონდათ წლის დასაწყისში, წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 265 დოლარი. ეს გამოწვეულია, იმით, რომ საკონსულოს მოსაკრებლების ანგარიშზე, ქალაქის მერიის, მიერ წარდგენილი იქნა სასამართლო გადაწყვეტილება, 2008-2009 წლებში საელჩოს კუთვნილ ავტომანქანებზე გამოწერილი ჯარიმებიდან გამომდინარე, რაც საელჩოს მიერ გაპროტესტებული და მოგებული იქნა, თუმცა ამ თანხის ყადაღის მოხსნა ვერ მოესწრო 2010 წლის განმავლობაში (მოხსნილ იქნა 2011 წლის იანვარში), შესაბამისად წლის ბოლოს აღინიშნებოდა ნაშთად;
- 1222 - „მიმდინარე ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის“-

  ამ ანგარიშზე აკუმულირდება საკონსულო მოსაკრებლები. ნაშთი წლის დასაწყისში 1515 დოლარი თითქმის არ შეცვლილა და წლის ბოლოს შეადგინა 1502 დოლარი. ფაქტიურად აქ ნაშთს უნდა შეედგინა 1670 დოლარი საკონსულო მოსაკრებლის სახით. ამასთან ამავე ანგარიშზე დატოვებულ იყო 97 დოლარი (საბანკო ანგარიშზე ყადაღის არსებობის გამო), რომელთან ერთადაც ნაშთს უნდა შეედგინა 1767 დოლარი. იმის გამო, რომ წარმოიქმნა 265 დოლარის ოდენობის ყადაღა, ამ

ანგარიშიდან 265 დოლარი გადატანილი და აღრიცხული იქნა 1214 საბალანსო ანგარიშზე, ხოლო 1222 ანგარიშის ნაშთმა შეადგინა 1502 დოლარი;

- 1423 – „ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები“ –
  დებიტორული დავალიანებები შემცირდა 4024 დოლარიდან 0-მდე. საწყისი ნაშთი შედგებოდა ვ.ჯაოშვილის - 3500 დოლარის (წარმოშობილი იყო 2009 წლის დეკემბერში), მ.მეტრეველის 234 (წარმოშობილი იყო 2009 წლის ნოემბერში) და 290 დოლარის ოდენობით ე.გოგიჩაიშვილის დავალიანებიდან, საიდანაც დაფარულ იქნა 3739 დოლარი, ხოლო 285 დოლარი (ე.გოგიჩაიშვილი) გადატანილი იქნა 1442 ანგარიშზე;
- 1431-„გადახდილი დღგ“ –
  წლის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდათ 2959 დოლარი. წლის განმავლობაში დღგ-ს დაბრუნების შემდეგ, წლის ბოლო ნაშთი შეადგენდა 2503 დოლარს, რაც დაბრუნებულ იქნება 2011 წელს. აქვე აღსანიშნავია, რომ საელჩო დღგ-ს ანგარიშფაქტურების წარდგენას ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, აწარმოებს არა ყოველკვარტალურად, არამედ წელიწადში ორჯერ, რის გამოც დღგ-ს გადასახადის ჩათვლები ყოვნდება-მათი დაბრუნება ხდება 6 თვეში ერთხელ, რაც თავის მხრივ აყოვნებს მათ გამოყენებას საელჩოს საჭიროებისათვის.
- 1441-„წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ -
  საწყისი ნაშთი ჰქონდათ 5320 ევრო, რაც სრულად იქნა აღმოფხვრილი. ასევე გადახდილ იქნა წლის განმავლობაში კუთვნილი საიჯარო ქირა, რის შედეგად წლის ბოლოს ანგარიშზე ნაშთი აღარ აღირიცხება.
- 1442- „მითხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით“ –
  წარმოიშვა საბოლოო ნაშთი - 429 დოლარი, რაც წარმოადგენს სამ შემთხვევაში საელჩოს ტელეფონებით ზენორმატიული საუბრების გამო წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებას. აქედან ა.ყიფიანს წარმოეშვა დავალიანება 133 დოლარის ოდენობით, 2010 წლის მე-3 კვარტალში, ე.გოგიჩაიშვილს 285 დოლარი

დავალიანება 2009 წლის დეკემბერში (რომელიც არ იყო საწყის ნაშთში დაფიქსირებული ამ ანგარიშზე, აღრიცხული იყო 1423 ანგარიშის საწყის ნაშთში) და ი. ადვაძის -11 დოლარი, წარმოშობილი წლის ბოლოს -დეკემბერში.

- 1446-„სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებანი"-
  ერიცხებოდათ და არ შეცვლილა სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები - 13818 დოლარის ოდენობით. ბალანსის ფორმა 11-ის მიხედვით ეს არის 2009 წლის აგვისტოში, საელჩოს ყოფილი ელჩის ლაშა ჟვანიას ბინის მეპატრონის მიერ საბანკო გარანტიით მიღებული თანხა. ეს საკითხი საელჩოს და სამინისტროს მიჩნეული აქვს სადაოდ. საკითხი იხილება სამინისტროში.
- 2120-„მანქანა-დანადგარები და ინვენტარი"-
  ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 98506 დოლარს. წლის განმავლობაში შესყიდულია 931 დოლარის ღირებულების 2 ცალი კომპიუტერის პროცესორი, წლის განმავლობაში კი დარიცხულია ცვეთა 12882 დოლარის ოდენობით, მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებებზე 11728 დოლარი, ხოლო სხვა მანქანა - დანადგარებზე 1154 დოლარი. წლის ბოლოს კი ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 86555 დოლარი.
- 2220-„სხვა მატერიალური მარაგები"-
  წლის დასაწყისის ნაშთი 11743 დოლარიდან შემცირდა 5741 დოლარამდე. წლის განმავლობაში მიღებულია 17729-დოლარის ღირებულების მარაგები, ხარჯებში კი ჩამოიწერა 23931 დოლარის ღირებულების მარაგები (ადგილი ჰქონდა, როგორც წლის დასაწყისში არსებული ნაშთების, ასევე წლის განმავლობაში შეძენილი მარაგების გახარჯვას).

  ჩამოწერილი მარაგებიდან 13805 დოლარის ღირებულების საწვავი (15763.34 ლიტრი) გახარჯულია საელჩოს ბალანსზე მყოფ 6 ავტომანქანაზე. ხარჯვა მიმდინარეობდა ელჩის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ელჩის 2009 წლის 9 დეკემბრის N12 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ, ჩაატარა საელჩოს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების და ვალდებულებების, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ინვენტარიზაცია და წარმოდგენილია ინვენტარიზაციის შედეგები საინვენტარიზაციო უწყისის სახით, რომლის შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და სახეზე არსებულ ინვენტარს შორის სხვაობა არ გამოვლენილა.

- 3100 – „ფინანსური ვალდებულებები"-
  ნაშთი 3190 დოლარიდან განულდა. ზემოაღნიშნული ვალდებულებების შემცირება მიღწეული იქნა აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად. აგრეთვე საელჩოს მხრიდან გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საელჩოს თანამშრომლებზე (ელჩი, ფინანსური მენეჯერი) განპირობებული საკრედიტო ბარათების გამოყენებით, ფინანსური ოპერაციები.
- 3210 - „ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან" –
  ნაშთი 9 თვეში გაიზარდა 4260 დოლარიდან 6842 დოლარამდე, თუმცა მე-4 კვარტალში ვალდებულებები შემცირდა და წლის ბოლოს შეადგინა 620 დოლარი.
- 3224 – „ბიუჯეტის წინაშე სხა ვალდებულებები" –
  წლის დასაწყისში ნაშთი შეადგენდა 1440 დოლარს, რაც წარმოადგენდა ადგილზე მიღებულ საკონსულო მოსაკრებელს, წლის ბოლოს კი ნაშთმა ანგარიშზე შეადგინა 1670 დოლარი.
- 3222-„გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი" –
  ნაშთი 180 დოლარიდან შემცირდა 50 დოლარამდე.
- 3234 – „ვალდებულებები მივლინებით" –
  ნაშთი არ ერიცხებოდათ წლის დასაწყისში, წლის ბოლოსთვის კი წარმოიშვა 143 დოლარის ოდენობით.
- 3246 – „სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები"-

წლის დასაწყისში ნაშთი არ ერიცხებოდათ, წლის ბოლოს კი ერიცხებათ 5161 დოლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს სატელეფონო კომპანია „ორენჯთან" წარმოშობილ სადაო ჯარიმის თანხას.

- წმინდა ღირებულება წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 131458 დოლარს. მიღებულია დაფინანსება 565445 აშშ დოლარი, კურსთა შორის სხვაობით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 435 აშშ დოლარი. სულ წლის განმავლობაში წმინდა ღირებულება გაიზარდა 565880 აშშ დოლარით და ნაშთიანად შეადგინა 697338 აშშ დოლარი; გაწეულია ფაქტიური ხარჯი 12 თვეში 587290 დოლარი, აქედან ცვეთა 12882 დოლარი, აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები 6772 დოლარი (გასული წლის აუთვისებელი ნაშთის უკან დაბრუნება), სულ წლის განმავლობაში წმინდა ღირებულება შემცირდა 594062 აშშ დოლარით და წლის ბოლოს წმინდა ღირებულებამ შეადგინა 103276 დოლარი.
- საცნობარო მუხლი 04 –„ ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში" – ნაშთი 4108 დოლარიდან გაიზარდა 5320-დოლარამდე, რადგან მიემატა ხარჯებში ჩამოწერილი 35 სახეობის 1214 დოლარის მარაგები ექსპლუატაციაში.
- საცნობარო მუხლი 08- „ამორტიზირებული ძირითადი აქტივები"-

  ნაშთი წლის დასაწყისში არ ჰქონდათ აღრიცხული, ხოლო წლის ბოლოს შეადგენს 52486 დოლარს. აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისშიც იყო ასეთი აქტივები 38886 დოლარის ღირებულებით, რაც საელჩოს კვარტლების ბალანსებში არ იყო დაფიქსირებული, ხოლო აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით აღირიცხა 2010 წლის ბალანსში წლის საწყის ნაშთად.

რეკომენდაცია

- საელჩომ ყოველკვარტალურად მოახდინოს დღგ-ს ანაზღაურებასთან (დაბრუნებასთან) დაკავშირებული ოპერაციები, რათა დროულად მოხდეს დღგ-ს თანხების დაბრუნება და მათი დაფინანსების სახით გამოყენება.

- საელჩომ სათანდო ყურადღება მიაქციოს საცნობარო მუხლებში ნაშთების აღრიცხვას.
- საელჩომ მიმართოს სამინისტროს (და მასთან ერთად განიხილოს საკითხი) 1446-„სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებანი"-საბალანსო ანგარიშზე რიცხული, 2009 წლის აგვისტოში, საელჩოს ყოფილი ელჩის - ლაშა ჟვანიას ბინის მეპატრონის მიერ, საბანკო გარანტიის სახით, მიღებული 13818 დოლარის სადაოდ ცნობასა და ამოღებისათვის, აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების მიზნით.

2. გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება;

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მუხლებში, გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, ხარჯების გაწევა შემდეგნაირად მიმდინარეობდა (ევრო):

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯის მეტობა(+)/ ნაკლებობა (-)	ფაქტ. ხარჯი	ფაქტ. ხარჯის მეტობა(+) /ნაკლებობა(-)
მთლიანი ხარჯი (I+II+III)	**835844.68**	**564629.98**	**-271214.70**	**587289.06**	**-248555.62**
I. მიმდინარე ხარჯები საქონელზე და მომსახურებაზე	**566600.00**	**564629.98**	**-1970.02**	**574406.87**	**7806.87**
ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის ანაზღაურება	**63285.00**	**63053.71**	**-231.29**	**62923.81**	**-361.19**
მივლინებები	**323087.00**	**321319.11**	**-1767.89**	**325201.72**	**2114.72**
გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯები	305702.00	304064.78	-1637.22	307799.64	2097.64
როტაციის ხარჯები	11234.00	11124.83	-109.17	11261.58	27.58
შეებულების ხარჯები	4848.00	4828.50	-19.50	4828.50	-19.50
მოკლევადიანი მივლინებების ხარჯები	1302.00	1301.00	-1.00	1312.00	10.00
ოფისის ხარჯები	**124995.00**	**124294.65**	**-700.35**	**127502.39**	**2507.39**
მცირეფასიანი საქონლის შეძენა, შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთება და სხვა		41237.63	41237.63	41113.08	41113.08

სპეცკავშირის სააბონენტო ხარჯები" და სხვა მუხლები		15309.26	15309.26	14533.77	14533.77
ოფისის იჯარა		59929.36	59929.36	59210.00	59210.00
ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯები,		7818.40	7818.40	12645.54	12645.54
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები	**41418.59**	**19003.86**	**-22414.73**	**22657.00**	**-18761.59**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**21735.00**	**21652.24**	**-82.76**	**22827.24**	**1092.24**
სხვა ხარჯები	**14429.00**	**14374.76**	**-54.24**	**13294.71**	**-1134.29**
II. არაფინანსური აქტივების ზრდა	**33833.00**	**931.65**	**-32901.35**		
III. ძირითადი კაპიტალის მოხმარება				**12882.19**	

- „ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის ანაზღაურებისთვის" დამტკიცებული იყო 63.3 ათასი დოლარი. გაწეული იქნა 63.0 ათასი დოლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.

  ხარჯები გაწეულია ხუთ ხელშეკრულებით მომუშავეზე, რომლებიდანაც ორი საქართველოს მოქალაქეა და მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი - 3.9 ათასი დოლარი მიმართულია საქართველოს ბიუჯეტში, ხოლო სამი მათგანი - ისრაელის სახლმწიფოს მოქალაქეა და მათთვის საშემოსავლო გადასახადის დაკავება არ ხდება საელჩოს მიერ.

  საელჩოში არ არის წარმოდგენილი ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეთა დაბეგვრასთან დაკავშირებული რაიმე ნორმატიული აქტი.

- „გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯებში" - დამტკიცებული 305.7 ათასი დოლარის პირობებში, გაწეულია 304.1 ათასი დოლარის ოდენობით საკასო და 307.8 ათასი დოლარის ფაქტობრივი ხარჯები (გადახრა 2.1 ათასი დოლარი). ხარჯები გაწეულია საელჩოს 8 თანამშრომელზე,

მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად.[2]

- „შვებულების“ ხარჯებისთვის დამტკიცებული იყო 4.8 ათასი დოლარი, რის ფარგლებშიც გაწეულია ამავე ოდენობის საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.
- „მოკლევადიანი მივლინების ხარჯები“ - დამტკიცებული 1.3 ათასი დოლარის პირობებში, გაწეულია ამავე ოდენობით.
- „ოფისის ხარჯების“ მუხლში დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 125.0 ათას დოლარს, საკასო ხარჯი გაწეულია 124.3 ათასი დოლარის, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი127.5 ათასი დოლარის ოდენობით (გადახრა 2.5 ათასი დოლარი).

„ოფისის ხარჯების“ მუხლში შემავალ ქვემუხლებში ხარჯების გაწევის შემდეგი მდგომარეობა აღინიშნება:

„ოფისის ხარჯების“ მუხლში შემავალი „სპეცკავშირის სააბონენტო ხარჯების“, „ადგილობრივი სატელეფონო ქსელის ხარჯების“, „ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯების“, „საერთაშორისო საუბრების ხარჯების“, ინტერნეტით სარგებლობის ხარჯების“, „საფოსტო მომსახურების ხარჯების“, „სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯის“ საკასო ხარჯმა შეადგინა 23.1 ათასი დოლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 27.2 ათასი დოლარი.

აღსანიშნავია, რომ საელჩო ფლობს 3 ინტერნეტის ჩიპს, რომლის ყოველთვიური გადასახადი თითოეულზე შეადგენს 139.56 შეკელს დღგ-ს ჩათვლით (125.38 შეკელი დღგ-ს გარეშე), აქედან 2 ჩიპი აგვისტომდე განპირობებული იყო საელჩოს 2 თანამშრომელზე (ყიფიანი, ჯაოშვილი), ხოლო მე-3 გამოუყენებელი იყო. აგვისტოს

[2] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“;

შემდეგ კი (ყიფიანი განთავისუფლდა აგვისტოში), 2 ჩიპი გამოუყენებელია და არც ერთ თანამშრომელზე არ არის განპირობებული. მიღებული განმარტების თანახმად, გამოუყენებელი ჩიპის გაუქმება, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, დაკავშირებულია ჯარიმების გადახდასთან, რაც ბევრად აღემატება ამ ჩიპების ფიქსირებულ გადასახადს, ამიტომ ყოველთვიურად ხდება ამ ჩიპების გადასახადის გადახდა. შესაბამისად 2010 წლის განმავლობაში გამოუყენებელ ჩიპებზე გადახდილმა ფიქსირებულმა გადასახადმა შეადგინა 2232.36 შეკელი (640 დოლარი), საიდანაც საელჩოს დღგ-ს ჩათვლით დაუბრუნდება 226.82 შეკელი (65 დოლარი).

ასევე აღსანიშნავია, რომ მთელი 2010 წლის განმავლობაში მობილური ტელეფონის 2 სიმ.ბარათი ისევ განპირობებულია საელჩოს ძველ - განთავისუფლებულ თანამშრომელზე - ჯ.აჯიაშვილზე, რომელიც ყოველკვარტალურად საელჩოს სალაროში იხდის მის ნომრებზე გამოწერილ გადასახადს, რაც ბუნებრივია არ აღირიცხება საელჩოს ხარჯებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულის შედეგად წარმოიქმნება ზედმეტი საფინანსო ოპერაციები და რისკები, რომ ჯ.აჯიაშვილის მიერ არ იქნება დაფარული სააბონენტო გადასახადი. საელჩოს განმარტებით, მიმწოდებელ კომპანიასთან, ხელშეკრულება გადაისინჯება 2011 წლის ივნისში და მდგომარეობა გამოსწორდება, მანამდე კი ხელშეკრულების გადასინჯვა და ნომრების გაუქმება დაკავშირებულია დიდ საჯარიმო სანქციებთან.

„ოფისის ხარჯების" მუხლში შემავალი დანარჩენი მუხლების („საკანცელარიო საქონელი", „მცირეფასიანი საქონლის შეძენა", „შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთება", „ბეჭდვითი პერიოდული ლიტერატურის გამოწერა-შეძენის ხარჯები", „საოფისე იჯარა", „სანიტარული საგნების და მასალების შეძენა", „ელექტროენერგიის ხარჯები", „წყლის ხარჯები", „ბუნებრივი საწვავის (აირი) და გათბობის ხარჯები", „ოფისის შენობის მიმდინარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების ხარჯები") საკასო ხარჯი გაწეულია 101.2 ათასი დოლარის, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი 100.3 ათასი დოლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ საელჩოს მიერ, ოფისის ქირის საფასურის გადახდა წლის განმავლობაში წარმოებდა საბანკო ჩეკების გამოყენებით, რომლებიც გამოწერილი იყო შეკელებში, ამავე დროს ხელშეკრულება მიმწოდებელთან დადებული იყო დოლარებში. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებლის მიერ ჩეკის განაღდება ხდებოდა ჩეკის გამოწერის დღესვე (ჩეკში შეკელები შესატყვისი იყო გამოწერის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ხელშეკრულებით დოლარში განსაზღვრული საფასურისა), ბანკი ტრანზაქციას ატარებდა მომდევნო დღის გაცვლითი კურსით, რის გამოც 2010 წლის 9 თვეში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი 366.92 დოლარით მეტად იქნა გაწეული და ამ სხვაობით მოხდა მისი კორექტირება. ამასთან მე-4 კვარტალში ასე ნაწარმოები ოპერაციების გამო კურსთა შორის სხვაობიდან მიღებულ იქნა უკე მოგება 289 დოლარის ოდენობით. ეს იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლის მიერ ჩეკის განაღდება ხდებოდა მისი გამოწერის დღესვე, თუმცა ამის გათვალისწინებით, რომ ჩეკის განაღდების ვადა ორ კვირაშია შესაძლებელი, მიმწოდებელს შეუძლია ამ ვადაში მისთვის ხელსაყრელი კურსის დროს გაანაღდოს ჩეკი და ამის გამო ასეთი ოპერაციები დიდი რისკის შემცველად შეიძლება ჩაითვალოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფის მიერ საელჩოს მიეცა რეკომენდაცია, მოეძებნა მიმწოდებელთან რისკის გამომრიცხველი ანგარიშსწორების საშუალებები, რაც საელჩოს მიერ იქნა გაზიარებული და მიმწოდებელთან მიღწეული იქნა შეთანხმება ანგარიშსწორება განხორციელდეს დოლარებში გამოწერილი საბანკო ჩეკებით, რითაც გამორიცხული იქნება კურსთა შორის სხვაობით ზარალის ან მოგების მიღება.

- „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები"-ს მუხლის მთლიანი გეგმა შეადგენდა 19.1 ათას დოლარს. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19.0 ათასი დოლარი, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი გაწეულია გეგმაზე 3.5 ათასი დოლარით მეტად- 22.7 ათასი დოლარის ოდენობით.

- „წარმომადგენლობით ხარჯებში“ დამტკიცებული იყო 21.7 ათასი დოლარის ასიგნება. სულ გაწეულია 21.7 ათასი დოლარის საკასო და 22.8 ათასი დოლარის ფაქტობრივი ხარჯები (გადახრა 1.1 ათასი დოლარი).
- „სხვა ხარჯების“ მუხლში დამტკიცებული 14.4 ათასი დოლარის ფარგლებში გაწეულია ამავე ოდენობით საკასო და 13.3 ათასი დოლარის ოდენობის ფაქტობრივი ხარჯები.
- „არაფინანსური აქტივების ზრდა“ განსაზღვრული იყო 33.8 ათასი დოლარი. საკასო ხარჯი გაწეულია 0.9 ათასი დოლარის ოდენობით.

რეკომენდაცია

- საელჩომ უნდა მოიძიოს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მარეგულირებელი ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც მოქმედებენ ისრაელის სახელმწიფოში და განსაზღვრავენ საელჩოში ხელშეკრულებით მომუშავე ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეების დაბეგვრის საკითხს.
- საელჩომ ხარჯების გაწევისას დაიცვას მინისტრის მიერ დადგენილი საგეგმო მაჩვენებლები.
- საელჩომ მიმწოდებელ კომპანიასთან უნდა გაატაროს ღონისძიებები ინტერნეტის გამოუყენებელი ჩიპების გაუქმების თაობაზე, რათა შეწყდეს ჩიპების ფიქსირებული გადასახადის გადახდა. ასევე უნდა გატარდეს ღონისძიებები საელჩოს ძველი თანამშრომლებისთვის ხმარებაში დატოვებული ტელეფონის 2 სიმ. ბარათის გაუქმებასთან და წარმოქმნილი გადასახადის გადახდასთან დაკავშირებული საფინანსო ოპერაციების გამარტივებასთან დაკავშირებით.
- კურსთა შორის სხვაობიდან შესაძლო ზარალის მიღების რისკის თავიდან აცილების მიზნით საელჩომ მიმწოდებლებთან ანგარისწორებისას არ დაუშვას საბანკო ჩეკების გამოყენებით საფინანსო ოპერაციების წარმოება.

დასკვნა

საქართველოს საელჩოს ისრაელის სახელმწიფოში ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილი წლიური ბალანსი სამართლიანად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, იმ დაშვებით, რომ ბალანსში დაფიქსირებული, საბალანსო ანგარიშების წლის დასაწყისის ნაშთები რეალურია.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეპარტამენტის უფროსი:	**ხელმოწერა/თარიღი**
გიორგი ჯერენაშვილი	23.03.2016.
მთავარი აუდიტორი:	**ხელმოწერა/თარიღი**
ავთანდილ ვასაძე	23.03.2016.

დანართი A - გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N914 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.